# მწვანე ქალაქები

| | |
|---|---|
| **ადგილმდებარეობა:** | რეგიონალური |
| **პროექტის ნომერი:** | 48171 |
| **ბიზნეს სექტორი:** | მუნიციპალური და გარემოსდაცვითი ინფრასტრუქტურა |
| **შეტყობინების სახე:** | საჯარო |
| **საბჭოზე გატანის თარიღი:** | 2016 წლის 30 ნოემბერი |
| **სტატუსი:** | დამტკიცებულია საბჭოს მიერ |
| **პროექტის მხარდამჭერის დოკუმენტის (PSD) ინგლისურ ენაზე გამოქვეყნების თარიღი:** | 2016 წლის 28 იანვარი |

# პროექტის აღწერა

250 მილიონი ევროს ოდენობის რესურსის გამოყოფა ჩარჩო-პროექტისათვის „მწვანე ქალაქები" (GrCF) მწვანე ქალაქებთან დაკავშირებული სხვადასხვა საინვესტიციო პროექტის მხარდასაჭერად.

# პროექტის მიზნები

„მწვანე ქალაქების" ჩარჩო-პროექტის (GrCF) გრძელვადიანი მიზანია იტვირთოს კომპლექსურ-დარგობრივი კატალიზატორის ფუნქცია გარემოსდაცვითი პრობლემების გადაჭრისათვის ქალაქის დონეზე. ეს კი შესაძლებელი გახდება „მწვანე ქალაქების სამოქმედო გეგმების" ('GCAP') მომზადებისა და მათი შემდგომი განხორციელების მეშვეობით. GCAP მეთოდოლოგია ქალაქების მიერ მწვანე ქალაქების სამოქმედო მიმართულებების ინდენტიფიცირების, სტანდარტიზაციისა თუ პრიორიტეტების გასაზღვრისისას სისტემურ მიდგომას იყენებს.

პროცესი ოთხ საფეხურს მოიცავს:

1. <u>მწვანე ქალაქის საბაზისო და პრიორიტეტული პარამეტრები:</u> ქალაქში არსებული გარემოსდაცვითი გამოწვევების ამჟამინდელი სტატუსის განსაზღვრა 70 ძირითად მაჩვენებელზე დაყრდნობით და პრიორიტეტული გარემოსდაცვითი გამოწვევების ინდენტიფიცირება.

2. <u>მწვანე ქალაქების სამოქმედო გეგმა (GCAP):</u> მომზადება დოკუმენტისა, რომელიც წარმოადგენს როგორც ქალაქის ხედვას, სტრატეგიულ მიზნებსა და

პრიორიტეტულ ქმედებებს, აგრეთვე ინვესტიციებს, პრიორიტეტული გარემოსდაცვითი გამოწვევების დასაკმაყოფილებლად და ამოცანების შესასრულებლად.

3. განხორციელება: მწვანე ქალაქების სამოქმედო გეგმის (GCAP-ის) აღსრულება:

4. მონიტორინგი და შეფასება: მწვანე ქალაქების სამოქმედო გეგმის (GCAP-ის) შედეგების მონიტორინგი და საჭიროებისამებრ, მწვანე ქალაქების სამოქმედო გეგმის (GCAP-ის) განახლება / ჩასწორება.

   ამრიგად, მწვანე ქალაქების სამოქმედო გეგმა (GCAP) გამოყენებული იქნება, როგორც ქალაქის წინაშე არსებული პრიორიტეტული გარემოსდაცვითი გამოწვევების, ასევე შემდგომი „მწვანე" ინვესტიციების და ამ სფეროში უფრო ფართო სტრატეგიული ამოცანების განსაზღვრის საშუალება. გარდა GCAP-ისა, მწვანე ქალაქების ჩარჩო პროექტის (GrCF) ქვე-პროექტები შეეხება კომპანიის ფინანსურ და საოპერაციო საქმიანობასა და ასევე პროექტის განხორციელების უნარ-შესაძლებლობას, სადაც ეს საჭირო იქნება.

# გარდაქმნის ეფექტი:

ძლიერი/კარგი

„მწვანე ქალაქების" ჩარჩო პროექტი და მისი თითოეული ქვე-პროექტი ხელს შეუწყობს მნიშვნელოვან გაუმჯობესებებს გარემოსდაცვითი კუთხით და ასევე აამაღლებს გარდაქმნის ეფექტის „მწვანე ეკონომიკის" მახასიათებლის ხარისხს, შესაბამისი ქალაქებისთვის „მწვანე ქალაქების" სამოქმედო გეგმის GCAP-ის შემუშავებისა და განხორციელების გზით.

ჩარჩო პროექტი ხელს შეუწყობს გარდაქმნის ეფექტის იმ ამოცანების შესრულებას, რომელიც დაკავშირებულია გარდაქმნის ეფექტის მახასიათებელთან, „მართვის მაღალი ხარისხი", რაც გულისხმობს მხარდაჭერას ინსტიტუციონალური შესაძლებლობების გაძლიერებაში, გარემოსდაცვითი საქმიანობის დაგეგმვის, რეგულირებისა და კონტროლის თვალსაზრისით და აგრეთვე დახმარებას ეკონომიკის შესაბამის დარგებში სახელშეკრულებო, ფინანსური და საოპერაციო გამჭვირვალეობის გაუმჯობესებაში.

# კლიენტი

მწვანე ქალაქების ჩარჩო პროექტის კლიენტები (მსესხებლები): მთავრობები, მუნიციპალიტეტები, მუნიციპალიტეტების კუთვნილებაში მყოფი და კერძო კომპანიები, რომლებიც უზრუნველყოფენ მუნიციპალურ / კომუნალურ მომსახურებას.

# ევრობანკის დაფინანსება

წარმოდგენილი ჩარჩო პროექტი მოიცავს სახელმწიფო (სახელმწიფო გარანტიით ან მის გარეშე) და კერძო სესხებს, რომელთა საერთო ჯამური ღირებულება შეადგენს 250 მილიონ ევროს.

## პროექტის ჯამური ღირებულება

მწვანე ქალაქების ჩარჩო პროექტის (GrCF) ჯამური ღირებულება 250 მილიონ ევროს შეადგენს. მწვანე ქალაქების ჩარჩო პროექტის ფარგლებში ასევე შესრულდება ტექნიკური თანამშრომლობის დავალებები ქვე-პროექტების მომზადებისა და განხორციელების პროცესში მხარდაჭერის მიზნით.

## გარემოს დაცვისა და სოციალური საკითხები

ჩარჩო პროექტს არ აქვს მინიჭებული კატეგორია 2014 წლის გარემოს დაცვისა და სოციალური ("E&S") პოლიტიკის ფარგლებში, თუმცა თითოეულ ქვე-პროექტს ამგვარი კატეგორია ექნება. ქვე-პროექტები მონაწილე ქალაქებსა და გარშემო მდებარე თემებში გარემოს დაცვის კუთხით საგრძნობ სარგებელს მოიტანენ. თითოეულ ქვე-პროექტს ჩაუტარდება ტექნიკურ-ეკონომიკური შეფასება გარემოს დაცვისა და სოციალური საკითხების კუთხით, სადაც წარმოდგენილი იქნება პოტენციური გავლენისა და სარგებელის შეფასება. მოხდება გარემოს დაცვისა და სოციალური სამოქმედო გეგმებისა და დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობის გეგმების, მათ შორის, საჩივრების შეტანის მექანიზმის განვითარება იმისათვის, რომ პროექტების სტრუქტურა EBRD-ის მოთხოვნების შესაბამისად იყოს ჩამოყალიბებული.

## ტექნიკური თანამშრომლობა

ყოვლისმომცველი ტექნიკური თანამშრომლობის (TC) პაკეტი ითვალისწინებს ჩარჩო პროექტისა და ქვე-პროექტების მხარდაჭერას.

ტექნიკური თანამშრომლობის (TC) დავალებები განისაზღვრება როგორც ქვეყნისა და ქალაქის სპეციფიკის, ასევე  თითოეული კლიენტის კონკრეტული საჭიროებების გათვალისწინებით.

ტექნიკური თანამშრომლობის (TC) დავალებები:

- ჩარჩო პროექტის დონე
  მწვანე ქალაქის სამოქმედო გეგმები და პოლიტიკის დიალოგი

- ქვე-პროექტის დონე
  <u>ხელმოწერამდე:</u> ტექნიკურ კვლევა; გენდერული საკონსულტაციო მომსახურება;
  <u>სესხის ხელშეკრულების ხელმოწერის შემდეგ:</u> ტექნიკური დახმარების გაძლიერება და პროექტის განხორციელების ხელშეწყობა.

ტექნიკური თანამშრომლობის TC სავარაუდოდ დაფინანსდება EBRD - ის აქციონერთა სპეციალური ფონდის ("SSF") და სხვა ორმხრივი ან მრავალმხრივი დონორების მიერ.

## ბიზნეს შესაძლებლობები

ბიზნეს შესაძლებლობებისა და შესყიდვების საკითხებზე დაუკავშირდით კლიენტ კომპანიას.

სახელმწიფო სექტორის პროექტებთან დაკავშირებით, იხილეთ: EBRD Procurement: ტელ: +44 20 7338 6794 Email: procurement@ebrd.com

# ზოგადი საკითხები

ზოგადი საკითხებისათვის EBRD-ის პროექტების გარშემო, რაც არ უკავშირდება შესყიდვებს, დაუკავშირდით: ტელ: +44 20 7338 7168 Email: projectenquiries@ebrd.com

# ინფორმაციის გასაჯაროების პოლიტიკა (PIP)

ინფორმაციის გასაჯაროების პოლიტიკის (PIP) დოკუმენტით განსაზღვრულია EBRD-ის მიერ ინფორმაციის გავრცელების გზები და ის კონსულტაციები, რომლებსაც ბანკი თავის აქციონერებთან აწარმოებს ცნობიერების ამაღლებისა და ბანკის სტრატეგიის, პოლიტიკისა და ოპერაციების უკეთ გააზრების ხელშეწყობის მიზნით. (საჯარო პოლიტიკის დოკუმენტის ტექსტი).

## პროექტის გასაჩივრების მექანიზმი (PCM)

ევრობანკს დანერგილი აქვს პროექტების გასაჩივრების მექანიზმი (PCM) იმისათვის, რომ უზრუნველყოს ფიზიკური ან იურიდიული პირების მხრიდან შემოსული საჩივრების დამოუკიდებელად განხილვის შესაძლებლობა. ხსნებული საჩივრები შეიძლება ეხებოდეს ევრობანკის მიერ დაფინანსებული იმ პროექტებს, რომლებმაც სავარაუდოდ გამოიწვიეს ან შესაძლოა გამოიწვიონ ზიანი გარემოს დაცვისა და /ან სოციალური კუთხით.

გთხოვთ ეწვიოთ პროექტის გასაჩივრების მექანიზმის (PCM) გვერდს, სადაც განთავსებულია საჩივრის წარმოდგენის წესები და პროცედურები. პროექტის გასაჩივრების მექანიზმის ფარგლებში შემოსული ნებისმიერი საჩივრის ფორმა შევსებული უნდა იყოს პროექტის გასაჩივრების მექანიზმის წესებსა და პროცედურებში გაწერილ განსაზღვრულ ვადებში. თუ გაინტერესებთ რამდენად აკმაყოფილებს საჩივარი ევრობანკის მიერ განსზღვრულ კრიტერიუმებს, დაუკავშირდით პროექტის გასაჩივრების მექანიზმის სამმართველოს (ელ. ფოსტა: pcm@ebrd.com).